№ 24

კვირა, 1 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 8 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 9 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 24

კვირა, 1 თებერვალი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 თებერვალს.**

მელანია ალექსანდრეს ასული ყარანგოზიშვილისა (კნიაჟნა ამირაჯიბისა), ეკატერინე ადამის ასული მუატისა და გრიგოლი ადამის ძე ყარანგოზიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის ქმრისას და მეორენი ძმისას

ვასილი ადამის ძის ყარანგოზიშვილისას,

სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზედ დასასწრებლად კვირას, 1 თებერვალს, დილის 11 საათზედ, მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში. მიცვალებულს გაასვენებენ იქიდამვე ორშაბათს, 2 თებერვალს, დილის 9 საათზედ, კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში და დაჰკრძალავენ კუკიის სასაფლაოზედ.

ორშაბათს, 2 თებერვალს,

„ტფილისის სობრანიის“ სადგომში

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ სასარგებლოდ

გამართული იქნება

**საცეკვაო საღამო**

საღამო დაიწყება 10 საათზედ.

შესასვლელის ბილეთის ფასი 2 მან. 10 კაპ.

სამოქალაქო წოდებისანი ფრაკებით უნდა იყვნენ, სამხედრო წოდებისანი — ამისთანა შემთხვევისათვის ჩვეულებრივს ტანსაცმელში. ქალებისათვის გულ-ღია კაბები სავალდებულო არ არის.

ბილეთების მიღება შეიძლება საღამოს გამგეს, უგანათლებულესს კნეინა თამარა გრუზინსკისთან, ხოლო იმ დღეს, რა დღესაც საღამო გაიმართება,—თვით „სობრანიაში“.

(4—6.—4)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. მ. ზუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ტფილისი, 31 იანვარი

დღევანდელ დიპლომატიისათვის ორი დიდი ნასკვია გამოსახსნელი: ერთი შინ ევროპაში და მეორე შორს აღმოსავლეთში, ესე იგი, ჩინეთში. კრიტის კუნძული, რომელმაც გამოიწვია ომი ოსმალთა და ბერძენთა შორის და რომელმაც კინაღამ ცეცხლი არ წაუკიდა მთელს ბალკანეთის კუნძულს, ჯერ აქამომდე დაწყნარებული არ არის. დიპლომატიამ ვერას გზით ამ საქმეს ბოლო ვერ მოუღო. მან, მართალია, დაადგინა უკვე ავტონომია ხსენებულ კუნძულისა და ამ მხრით ცოტა თუ ბევრად გამოიხსნა იგი სულთანის ხელიდამ, მაგრამ დღეს აქამომდე ვერ მოუპოვა შესაფერი გენერალ-გუბერნატორი. რაკი გენერალ-გუბერნატორის კანდიდატობაზე მიდგა საქმე, იგი, ეგრედ წოდებული კონცერტი ევროპის სახელმწიფოებისა, შეირყა და თითქმის ირღვევა კიდეც.

რომ ბოლო მოეღოს ამისთანა მდგომარეობას კრიტის კუნძულისას და აქედამ აღარაფრის შიში აღარ იყოს ევროპისათვის მოსალოდნელი დროებით მაინც, რუსეთმა კრიტის კუნძულის გენერალ-გუბერნატორად მოიწადინა საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი. ამ კანდიდატურას საფრანგეთი, როგორც მომხრე რუსეთისა, მაშინვე დაჰყაბულდა, იტალიამაც წინააღმდეგობა არ გამოიჩინა, ინგლისმა თითქმის თვისი თანხმობა გამოაცხადა, მარტო ავსტრო-ვენგრია და ოსმალეთი წინააღუდგა. გერმანიამ თუმცა არც ჰო სთქვა, არც არა, მაგრამ აშკარა კი იყო, რომ იგი ამ საქმეში უფრო ავსტრიისაკენ არის.

ეხლა ამბობენ გაზეთები, რომ გერმანიამაც უფრო ცხადად გაიწია ავსტრიისაკენ და იტალიაც ისეთის თანაგრძნობით აღარ უყურებს საბერძნეთის მეფის შვილის გიორგის კანდიდატურას. ამ სახით გამოდის, რომ კრიტის კუნძულის საქმეში ევროპა ისევ ორ ბანაკად გაიყო უწინდელებრ: ერთ მხრივ გერმანია, ავსტრო-ვენგრია და იტალია და მეორე მხრივ—რუსეთი და საფრანგეთი. გაზეთები ამბობენ, რომ თუ რუსეთის მიერ წამოყენებულმა კანდიდატურამ თავი ვერ დაიჭირა, რუსეთი ამ საქმეში აღარ გაერევაო, რადგანაც სხვაფრივ იმ ცეცხლის ჩაქრობა, რომელსაც მოასწავებს კრიტის კუნძულის მდგომარეობა, შეუძლებელიაო.

საბერძნეთის მეფის შვილის გიორგის გენერალ-გუბერნატორობას იმ მიზეზით ამჯობინებენ, რომ მისი დანიშვნა და სამუდამოდ დაწყნარება კრიტის კუნძულისა ერთი იქნებაო. კრიტის კუნძულის მკვიდრნი თითქმის ოთხი მეხუთედი ბერძნები არიან და სხვას ვის შეიშვნევენ ისე კარგად და გულ-დანდობით თუ არ საბერძნეთის მეფის შვილსაო. ესეთი საზრისი, რასაკვირველია, საბუთიანია. მაგრამ არც ამისი მოპირის-პირენი არიან უსაბუთონი. ისინი ამბობენ, რომ თუ საბერძნეთის მეფის შვილი დაინიშნა გაგენერალ-გუბერნატორად კრიტის კუნძულზე, კრიტი უფრო საბერძნეთისა იქნება, ვიდრე ოსმალეთისაო. ბერძნებმა რომ ომი ასტეხეს, მარტო იმისთვის, რომ კრიტის კუნძული წაართვან ოსმალეთს და თითონ დაიჩემონ. ოსმალებმა ამ ომში გაიმარჯვეს და ბერძნები დამარცხდნენ და ეხლა რომ იგი კუნძული ბერძნებმა დაიჩემონ, გამოვა, რომ დამარცხებულთ სასურველი არგუნეს და გამარჯვებული-კი ცარიელზედ დასვესო. ეს რა სამართალიაო?

ვთქვათ, პოლიტიკაში სამართალი და სხვა ამისთანა მაღალ ფარდის სიტყვები ტყუილი რახუნია მოშლილ წისქვილისა, მაგრამ როცა უნდათ მიზეზს-მიზეზს დოს მარილი აკლიაო და ამისთანა სიტყვებსაც ხელს მოსჭიდებენ ხოლმე. მეორე საბუთი უფრო საგულის-ხმიეროა. ბერძნებმა რომ თავისი მეფის შვილი კრიტის კუნძულის მთავარ მართებლად დასვან, ეს ხომ საბერძნეთის გაძლიერებას მოასწავებს ბალკანეთის წვრილ-სახელმწიფოთა შორის და რომ ეს ასე არ მოხდეს, ხომ, თვითოეული მათგანი, მაგალითებრ, სერბია, რუმინია, ბოლგარია მოითხოვენ სამა-

---

# ფელეტონი

## რა გვარი საჭმელი შეჰფერის ადამიანს: ხორცი, თუ მცენარეულობა?

(ვუძღვნი ჩვენს ექიმს-მოღვაწეს ბ-ნს თოფურიას).

ადამიანისათვის რომ საკმარისი იყოს მხოლოდ პური და წყალი, მაშინ, როგორც ამას მეცნიერი ლიბიხი ამბობს, ქვეყანაზედ სრული თანასწორობა იქნებოდა ადამიანთა შორის: მტრობა, სიძულილი, ძარცვა-გლეჯა, მეგობრობა, სიყვარული და სხვა ამგვარი გრძნობანი სრულიად უცნობი იქნებოდა ადამიანისთვის.

მაგრამ ადამიანს მხოლოდ ჰეარი და წყალი არა ჰყოფნის; წყურვილისა და შიმშილის დასაკმაყოფილებლად კიდევ ბევრი რამ არის საჭირო. აი, ადამიანის ეს ბუნებრივი მისწრაფება სურვილი შიმშილ-წყურვილის დაკმაყოფილებისა მიზეზია ყოველ ისტორიულ და პროგრესსიულ მოძრაობისა.

მაგრამ ადამიანი სხვა უფრო მდაბალ სულიერ არსებისაგან იმითი განირჩევა, რომ იმისს ბუნებაში არის ერთი უდიდესი თვისება—მისწრაფება გაუმჯობესებისა; აქ არის ადამიანის ღვთაებრივი თანდაყოლილი ნაწილი, რომლითაც იგი მუდმივ ებრძვის თავისის ბუნების მხეცურს მხარეს. ამიტომაც უმაღლესი დანიშნულება ადამიანისა ის არის, რომ რაც შეიძლება მეტად შეიმსუბუქოს ის ცხოველური ტვირთი, რომელიც იმისს ბუნებას განუშორებლად ადევს.

სამწუხაროდ ცხოველური მხარე ადამიანში იმდენად მძლავრია, რომ როდესაც იგი დაკმაყოფილებული არ არის, მაშინ ადამიანის არსება სულ მთლად ჰშფოთავს, მშვიდობა სულისა ირღვევა და ადამიანს ავიწყდება ყოველი მაღალი და წმიდა მცნება და მხეცად გარდაიქმნება ხოლმე. შიმშილი ადამიანს იქამდის მიიყვანს, რომ იმას სრულიად ავიწყდება მამა-შვილური გრძნობა და შიმშილისაგან გამგელებული დედა სჭამს თავისის შვილის ხორცს.

ჩვენდა უნებურად გვახსენდება ერთი სცენა ზოლას რომანიდგან (Débâcb); როდესაც საფრანგეთის ჯარი დამარცხებულ იქმნა პრუსიელებისაგან, პრუსიელებმა საფრანგეთის ჯარის ერთი ნაწილი ტყვედაც წაიყვანეს და ერთ პატარა კუნძულზედ შეამწყვდიეს; ჯარში საშინელი შიმშილობა ჩამოვარდა, ყველანი გამგელდნენ; სწორედ ამ დროს მოხდა შემდეგი საზარელი სცენა: ამ კუნძულის ერთს კუთხეში ჯარის-კაცს საიდგანღაც ეშოვნა პურის პატარა ნამტვრევი და იმ დროს, როდესაც აპირებდა შეჭმას, დაედევნა მეორე მისი ამხანაგი; ჩამოვარდა მათ შორის საშინელი ბრძოლა ამ პურის ნამტვრევისათვის, ბოლოს მეორემ სძლია პირველს, პურის პატრონს ქვით გაუხეთქა თავი და მოჰკლა, წამოავლო ხელი პურის ნამტვრევს, რომელიც მისის ამხანაგის ტვინში იყო ამოვლებული, და ხარბად შეჭამა.

როგორც ჰხედავთ, ფრიად საინტერესოა ის საგანი, როგორ უნდა ისაზრდოვოს ადამიანმა, რა გვარი საჭმელი უნდა ჰქონდეს, რომ შედარებით უფრო ნაკლები ბრძოლა დასჭირდეს საზრდოს მოსაპოვებლად. ამასთან ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ საჭმელი უნდა შეეფერებოდეს ადამიანის ხორციელს აგებულებას.

საჭმლის მოპოვება და შოვნა იმითია ძნელი, რომ ადამიანთა რიცხვი დღითი-დღე ჰმატულობს დედამიწის ზურგზედ, ხოლო სივრცე თვით დედამიწისა განუზომელი არ არის. მერმისში ძალიან შესაძლებელია მისთანა დრო დადგეს, რომ მიწამ ვერ შესძლოს ყველას დაკმაყოფილება. ამის შესახებ ბევრი უწერიათ როგორც ეკონომისტებს, ისე ბუნების მეტყველებს. ფიზიოლოგიამაც მიაქცია ყურადღება ამ საგანს და დაიწყო იმის გამოკვლევა, თუ როგორი საჭმელი შეჰფერის ადამიანის აგებულებას: ხორცეულობა, თუ მცენარეულობა?

მეცნიერთა უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ საუკეთესო საჭმელი ადამიანისთვის ხორციაო; რომ იგი აძლევს საუკეთესო ძალას როგორც მის ფიზიკურს, ისე სულიერს მხარეს.

მეცნიერებმა ისიც კი გამოიანგარიშეს, თუ რამდენი ნაწილია ხორცისა საჭირო, რომ ყოველ დღე ერიოს ადამიანის საჭმელში.

ფიზიოლოგ-მეცნიერეპს ეს-კი დაავიწყდათ, შეუძლიან დედამიწას აძლიოს ყოველ ადამიანს იმდენი ხორცი, რამდენიც თითონ გამოიანგარიშეს, თუ არა? რასაკვირველია, ამ გვარ ანგარიშის დროს მეცნიერებს მხედველობაში დღევანდელი შეძლებული ბურჟუაზია ჰყავდათ, რომელიც, მართლაც, იმდენად შეძლებულია, რომ ყოველ დღე საკმარისადა აქვს ხორცი.

და აი, აქედგან ის მეცნიერული დასკვნა გამოიყვანეს, რომ ყოველი ადამიანის აგებულება უსათუოდ თხოულობს ხორცს.

მაგრამ საზოგადოდ ადამიანის აგებულება რომ გავარჩიოთ და განსაკუთრებით იმისს საჭმლის მოსანელებელ ასოებს მივაქციოთ ყურადღება, დავრწმუნდებით, რომ ადამიანი გაჩენილია არა მარტო მხოლოდ ხორცის საჭმლისათვის, არამედ უფრო მცენარეულობისთვის. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანს ბუნებაში როდი უჭირავს განცალკევებული ადგილი, იგი წარმოადგენს მხოლოდ უმაღლესს საფეხურს იმ კიბისას, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ სულიერთა სამეფოს.

ამიტომ ჩვენ ვეცადოთ ვიპოვოთ იმ გვარი სულიერი არსება, რომელიც თვისის აგებულებით ჰგავს ადამიანს; ამ გვარი მსგავსება არის მაიმუნსა და ადამიანს შორის. მაიმუნი-კი, როგორც ჩვენ ვიცით, განსაკუთრებით იკვებება სხვა-და-სხვა გვარ მცენარეთა ნაყოფით. ამიტომაც ზოგიერთი მეცნიერი და მათ შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიეროსაო და მაშინ ხომ აირია დავთრები აღმოსავლეთის საქმისა და ოსმალეთის დანაწილების საშიშარი საქმე წინ აეტუზა ევროპასაო. რა ჰქმნას მაშინ ევროპამაო? რაკი ამ დანაწილებაზე მიდგება საქმე, ხომ ომი ასტყდა და საშინელი ომიცაო. როგორც ვხედავთ, ეს მეორე მიზეზი იმოდენად საბუთიანია, რომ არ უნდა გვიკვირდეს დღევანდელი სიფრთხილე ევროპისა და ასეთი დახანება და უთანხმოება მისთა სახელმწიფოთა კრიტის გენერალ გუბერნატორის არჩევის საქმეში. აი იგი ერთი ნასკვი დღევანდელის პოლიტიკისა შინ-ევროპაში, რომელმაც დღეს ევროპა ორ წინანდელ ბანაკადვე გაჰყო.

მეორე ნასკვი გამოინასკვა შორ-აღმოსავლეთში. გერმანიამ მიზეზი მოუდო ჩინეთს და ერთი კაი ნავთსადგური კიაო-ჩოუ ჩამოართვა. ინგლისმა ყურები აცქვიტა. შორი-აღმოსავლეთი, სადაც ინგლისს მთელი იმპერია ინდოეთისა უჭირავს და საიდამაც იხვეჭს მთელს თავისს სიმდიდრესა და სადაც ასეთი გაშლილი ბაზარი ჰქონდა თავისის უთვალავის საქონლისა, მეტის-მეტი სასურველი ლუკმაა ინგლისისათვის. აქ რომელისამე სხვა სახელმწიფოს გაძლიერება დაუძლურებაა ინგლისისათვის, რომელიც დღევანდლამდე თითქმის მარტო ბატონობდა იქ. ბევრ გვარად დატრიალდა ჩინეთში ინგლისი, რომ როგორმე ხელი შეუშალოს გერმანიას და ფეხი არ მოაკიდებინოს ჩინეთში. მაგრამ ყველა მეცადინეობამ უქმად ჩაუარა და ზღვიდამ ჩინეთში შესავალი კარი გაიღო გერმანიამ, ნავთ სადგური კიაო-ჩოუ დაიჭირა და თავისი ხომალდები დააბინავა.

რაკი რუსეთმა დაინახა ასეთი ამბავი, ამანაც ხელი გაიწოდა მეორე ნავთსადგურზედ, რომელსაც პორტ-არტური ჰქვიან და რომელიც კაი მოზდილი კარია ზღვიდამ ჩინეთში შესასვლელად. ინგლისი აქაც მიესია მთელის თავისის ხერხითა, რომ ჩინეთს არ დაათმობინოს არაფერი რუსეთისათვის, მაგრამ აქაც ვერა გახდა-რა. მაშინ დიდის რიხით შეუტია ჩინეთს, თუ პორტ-არტურში რუსებს დააყენებენ, ნავთ სადგური ტალიენვანი ღია იყოს საყოველთაო შესავალ-გასავალად ჩინეთში ზღვიდამაო. ეს ისეთის რიხით დაუდვა პირობად ინგლისმა ჩინეთს, რომ თითქმის მუქარას მოასწავებდა. ვერც ამან გასჭრა, როგორც ვხედავთ. რუსეთი თავისის ხომალდებით დაბინავდა პორტ—არტურში და არც ნავთ-სადგური ტალიენვანი დასთმო საყოველთაო გზად ზღვიდამ ჩინეთში. ინგლისის მუქარამ ტყუილად ჩაიარა, რადგანაც, რაკი ვეღარას გახდარა, ამ ტალიენვანს ინგლისმა თავი დაანება, თითქო თავისს დღეში არ ეხსენებინოსო. ჯერ ასეთმა ფახა-ფუხმა და მერე ასე ამოძუებამ კუდისამ ტალინვანის გამო ააყაყანა მთელი ინგლისი. გავლენიანი გაზეთი ინგლისისა „Times"-ი ამბობს, რომ ჯერ სულ არ უნდა ეხსენებინათ ტალიენვაინი და რაკი ახსენეს, ბოლომდე უნდა ჩვენს მთავრობას მიეყვანა საქმე, თუნდ ამისათვის ომიც ატეხილიყოო.

რამ გააგულიანა უძლური ჩინეთი, რომ არ შეუშინდა ინგლისს არც მაშინ, როცა კიაო-ჩაუ დაუთმო გერმანიას, არც მაშინ, როცა პორტ—არტური მისცა რუსეთს? იმან, რომ აქ გერმანია და რუსეთი ერთად იღვწიან და ერთმანეთსა ჰშველიან. ვერც გერმანია შესდგამდა ფეხს კიაო-ჩაუში, ვერც რუსეთი პორტ-არტურში, რომ ყოველივე ეს ადრევ მოლაპარაკებული არ ჰქონოდათ ერთმანეთში და გათავებული.

ჩინეთს დღეს ფული უჭირს, რომ იაპონიის ვალი გადაიხადოს. იაპონიას გირაოდ უჭირავს ერთი უწარჩინებულესი ნავთ-სადგური ჩინეთისა და მინამ ჩინეთი ვალს არ გადაიხდის, იაპონიას ნება აქვს იმ ნავთ-სადგურის ჭერისა. ინგლისმა, რა-კი მუქარით ვეღარა გააწყო-რა, ეხლა ამ მხრით მოიწადინა თავისის წამხდარის საქმის გასწორება: მე გასესხებ ფულსა იაპონიის ვალის მოსაშორებლადაო. გაიბა ამაზე ლაპარაკი ჩინეთსა და ინგლისს შორის. ინგლისს უნდოდა ხელში ჩაგდება ჩინეთისა, რაკი ფულს ასესხებდა და ამით მისს შინაურ საქმეებში წილს დაიდებდა. თითქმის ეს სამმე თავდებოდა ინგლისის სასარგებლოდ, მაგრამ აქაც რუსეთმა შეუშალა ხელი. ეხლა გაზეთები გვატყობინებენ, რომ ჩინეთი ინგლისისაგან აღარა ჰსესხულობს, რადგანაც ფულს სესხად აძლევენ ორნი სახელმწიფონი ერთად რუსეთი და გერმანიაო.

რატომ არა სჩანს ყოველს ამაებში საფრანგეთი? აი საკითხი, რომელიც ყველას ენაზე მოადგება, როცა შორ-აღმოსავლეთის საქმეს ითვალისწინებს კაცი. ამისი პასუხი ის არის, რაც 24 იანვარს საფრანგეთის პალატაში უთქვამს დეკრეს. ჩინეთის საქმე დიდი საქმეაო, აქ ევროპის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიანო. საფრანგეთის ინტერესები თხოულობენ, „აქ საქმე ისე დარჩეს, როგორც არისო". არა გვგონია, ინგლისმა ამ პროგრამას სულით და გულით ხელი არ მოაწეროს, იმიტომ-რომ აქ შეუცვლელად საქმეების დარჩენა ისე სახეირო არავისათვის არ არის, როგორც ინგლისისათვის. ჩვენ ისიც გვგონია, რომ აქ უნდა იმალავდეს თავს მიზეზი იმ სიტყვებისა, რომლებითაც დეკრემ დაასრულა თავისი სიტყვა საფრავგეთის პალატაში. ქებით და მოწონებით მოიხსენა-რა ფრანგ-რუსთა კავშირი, სთქვა, რომ ეს არ უნდა უშლიდეს საფრანგეთსა უგულითადესი კეთილ განწყობილება იქონიოს ინგლისთანაო. არც ეს უნდა დავივიწყოთ, რომ ეს დეკრეს სიტყვა გამოწვეულ იყო კოშენის მიერ, რომელმაც უსაყვედურა საფრანგეთის მთავრობას, რომ იგი ხელს უწყობდა და ეხმარებოდა გერმანიას საბერძნეთის წინააღმდეგაო.

თუ ეს ასეა, უცნაურს რასმეს წარმოადგენს ეს ორი, ერთმანეთზე შორი ნასკვი დღევანდელის პოლიტიკისა. ძნელია კაცმა გაუგოს თავი და ბოლო ამ მართლა-და უცნაურს ხლართულსა. ვინ ვისკენ არის ან სამტროდ ან სამეგობროდ—ძნელი გამოსაცნობია. საფრანგეთის პარლამენტში საჯაროდ ისაყვედურებიან, რომ საფრანგეთი ეხმარება გერმანიას საბერძნეთის წინააღმდეგა, მაშასადამე, ეხმარება ახლო აღმოსავლეთის საქმეში და თუ ეს მართალია, რა პასუხი უნდა მისცეს საფრანგეთმა რუსეთს? შორ-აღმოსავლეთში გერმანია და რუსეთი ერთად ჰმოქმედებენ ინგლისის წინააღმდეგ და საფრანგეთის ამაში გაჰქაჰნებაც არ ისმის. ინგლისი მარტო იღვწის აქაც და იქაც რუსეთისა ჲ გერმანიის წინააღმდეგ, საფრანგეთი ამავე დროს საჯაროდ იძახის,—რატომ არ უნდა ვიქონიოთ უგულითადესი კეთილ-განწყობილება ინგლისთანაო და ბევრი სხვა ამისთანა. ეს რა ამბავია? ეს ინგლისთან კეთილ-განწყობილების ხსენება ნუ თუ პასუხია საფრანგეთისა იმაზე, რომ შორ-აღმოსავლეთის საქმეში გერმანია და ნამეტნავად რუსეთი უსაფრანგეთოდ მოქმედობენ? იქნება ევროპაში დიდი მზადებაა დასახვედრად დიდის რაიმე განსაცდელისა და, როგორც ყოველ მზადებაში, თავ-თავის ადგილას ჯერ არაფერია დალაგებული.

ჩვენ წინადაც გვითქვამს და ეხლაც განვიმეორებთ, რომ კრიტის კუნძულის საქმე და მაკედონიის დაუწყნარებლობა ფრიად საშიშია ევროპისათვის, იმიტომ რომ ერთიც და მეორეც შემძლებელია ფეხზე წამოაყენოს ეგრედ წოდებული ახლო-აღმოსავლეთის საქმე მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა და მაშინ ევროპა სისხლ-დაუღვრელად, უომრად ვერ გადარჩება. ჯერ ეხლავ არის ნიშნები, რომ წელს გაზაფხულზე ერთ-ერთი ზემოხსენებული საქმე, ან ორივე ერთად თავისას მოითხოვენ და იქმნება ეს არის მიზეზი იმ უცნაურის ხლართულისა, რომელსაც დღევანდელი პოლიტიკა წარმოადგენს შესახებ კავშირ-ზავობისა ევროპის სახელმწიფოთა შორის.

## ახალი ამბავი

∴ ორშაბათს, 2 თებერვალს, ავჭალის იაფ-ფასიანის სასადილოს სადგომში, სცენის მოყვარეთა მიერ გამართული იქმნება ქართულს ენაზედ სახალხო წარმოდგენა. ითამაშებენ ავ. ცაგარლის ოთხ-მოქმედებიან პიესას „ციმბირელს". ადგილების ფასი თითო შაურია.

∴ პარასკევს, 30 იანვარს, ტფილისის სკრედიტო საზოგადოების მმართველობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულმა კრებამ დაადგინა საზოგადოების შემოსავლიდგან 50,000 მან. გადასდოს განზრახულ პოლიტეხნიკუმის დაარსებისათვის და ამ აზრით შუამდგომლობა დაიწყოს ხსენებულ საზოგადოების წარმომადგენელთა მორიგ კრების წინაშე.

∴ სასჯულო საქმეთა სამინისტროს გადაუდვია საჭირო თანხა ქუთაისში სასამართლო დაწესებულებათა საერთო სადგომის ასაგებად.

∴ ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებას, პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ 30 ათასი მან. გადადების შესახებ, ამ დღეებში განიხილავს გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულო, რადგანაც გუბერნატორი არ დაეთანხმა ასეთს გადაწყვეტილებას.

∴ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ უკვე გარჩია საქმე გორის მაზრის ავაზაკთა დასისა და გადაუწყვიტა: საბა თედეშვილს ყოველის უფლების ჩამორთმევა და უვადოდ კატორგაში გაგზავნა, ხოლო დანარჩენთ ყოველის უფლების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა: საჩინო ვანიშვილს—12 წლით, ბესარიონ თვაურს, რაჟდენ თვაურს, ვასილ მარგიშვილს და ფარნაოზ თვაურს—ექვსის წლით, პავლე გაგლოშვილს, დათიკო ბაგაურს, ანდრო ზაგოშვილს და სანდრო ჯიოშვილს—რვა-რვა წლით.

∴ დღეს, 1 თებერვალს, სააბრეშუმო სადგურის დარბაზში კრება ექმნება კავკასიის ბაღ-ბოსტნეულობის საზოგადოების განყოფილებას ნაშუადღევის 1 საათზედ. კრებამ უნდა მოისმინოს: 1) ნ. ნ. სპეშნევის

---

კიუვიეც იმ აზრს დაადგნენ, რომ ადამიანს უფრო მცენარე შეჰფერის საჭმელად, ვიდრე ხორციო.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვიძლიან მოვიყვანოთ მაგალითები ადამიანთა აწმყო ცხოვრებიდგან: ადრეც ვთქვით, რომ ხორცით იკვებება ევროპა—განსაკუთრებით მდიდარი ბურჟუაზია; სხვა ქვეყნები-კი, სადაც უფრო მეტი უმრავლესობა—ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, მთელის რუსეთის გლეხ-კაცობა და სხვ. მხოლოდ სხვა-და-სხვა გვარ მცენარეთი იკვებება, ასე რომ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ კაცობრიობის უმრავლესობა ჰხმარობს საჭმელად მცენარეს და არა ხორცს. ევროპა იმიტომ არის კულტურულად დაწინაურებული, რომ ხორცსა სჭამსო, ამ გვარი აზრი ჰმეფობს ზოგიერთა შორის; ხოლო ეს-კი ავიწყდებათ, რომ ხორცის გემრიელი ლუკმები უფრო ბურჟუაზიასა ჰხვდება, იმ ბურჟუაზიას, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მეცნიერებასთან. კულტურისა და განათლების პირველი სხივები გამონათდა იმ აღმოსავლეთ ქვეყნებიდგან, სადაც მხოლოდ მცენარეულობით ჰსაზრდოობდნენ. იაპონიამ ხომ გააკვირვა მთელი ქვეყანა თავისის კულტურულის ნიჭითა და წინმსვლელობით. თვით ძველი საბერძნეთი, სადაც ხელოვნებამ, ფილოსოფიამ და მეცნიერებამ უმაღლესს განვითარებამდე მიაღწია და იმათი კულტურა საძირკველი გაუხდა ჩვენს აწმყო განათლებას, თვით საბერძნეთი განსაკუთრებით მცენარეულობით საზრდოობდა.

მეორეს მხრივ იმისთანა ხალხნი რომ ავიღოთ, როგორნიც არიან ყირგიზები, ბოშები და სხვანი, დავინახავთ, რომ თუმცა ესენი მხოლოდ ხორცითა საზრდოობენ, მაგრამ ჭკუა-გონებით ყველაზედ უკან სდგანან. ვიცით, რომ პირველი ადამიანი ქვეყნად რომ გაჩნდა, იმისა და სხვა გვარ პირუტყვთ შორის თითქმის არაფერი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო ზნე-ჩვეულების მხრივ, შემდეგ-კი რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენად ადამიანის სულიერ მხარეს დიდი განვითარება ეტყობოდა. რასა სჭამდა პირველი ადამიანი, რა გვარი იყო მისი საკვებავი, დაჭეშმარიტებით არ ვიცით.

ხოლო ეს-კი ვიცით, რომ როდესაც იგი უფრო განვითარდა აგებულებით და უფრო მეტი სიმარდე და ცოტაოდენი ხერხიც მოიპოვა, მაშინ ადამიანმა დაიწყო სხვა მდაბალ პირუტყვებზედ ნადირობა და ამათის ხორცით საზრდოობდა. მერე-კი, მრავალ დროთა განმავლობის შემდეგ ადამიანმა მოიპოვა შესამჩნევი გონივრული განვითარება, დაიჭირა სხვა სულიერ არსებთა შორის მეფური ადგილი თავისის ბუნების საუცხოვო აგებულების წყალობით, ამასთანავე ადამიანთა რიცხვმა იმდენად იმატა, რომ შეუძლებელი შეიქმნა, ყველანი დაკმაყოფილებულიყვნენ ნადირთა ხორცით, ადამიანმა ნელ ნელა დაიწყო მიწის შემუშავება და სხვა-და-სხვა გვარ სასარგებლო მცენარეთა მოშენება. მიწის მოვლა უფრო მეტს მხნეობასა და ჭკუის გამჭრიახობას თხოულობს და, რასაკვირველია, ამგვარმა მუშაობამ უფრო კიდევ მძლავრად წასწია ადამიანის გონება წინ. ეხლა ადამიანმა, ხორცის გარდა, დაიწყო მცენარის საჭმელად ხმარება და ამგვარმა ცვლილებამ არა თუ დასწია უკან ადამიანი განვითარების მხრივ, არამედ კაცობრიობას უფრო მეტი სიცხოველე დაეტყო. მაშასადამე, ადამიანის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ხორცს არავითარი უპირატესობა არა აქვს მცენარის წინაშე საჭმელად ხმარებისა.

ამის დამამტკიცებელია თვით ადამიანის ანატომიური აგებულება, რომელსაც უფრო შეჰფერის მცენარეულობა, ვიდრე ხორცეულობა.

თვით ქიმიურად რომ გავარჩიოთ სხვა-და-სხვა გვარ საჭმელში სახმარებელი მცენარეულობა და ხორცეულობა, ვნახავთ, რომ ორივე საერთოდ ერთგვარის ნაწილებისგან შესდგება, ხოლო ეს-კია, რომ სხვა-და-სხვა გვარ პირუტყვთა საჭმელ ხორცში უფრო მეტია საკვებავი ნაწილები, ვიდრე ამა თუ იმ მცენარესაჭმელში, ამიტომ ადამიანმა უფრო-მეტი უნდა შესჭამოს მცენარე საჭმელი, რომ თავისი სიმშილი დაიკმაყოფილოს. რასაკვირველია, კუჭს უფრო მეტი ჯაფა ადგია ამითი.

ფიზიოლოგიის, საზოგადოდ მეცნიერების დანიშნულებაა, შეადგინოს იმგვარი ნუსხა სხვა-და-სხვა გვარ მცენარე-საჭმელისა, რომ შიგ უფრო მომეტებული საკვებავი ნაწილები ერიოს. ამის წყალობით ჩვენ უფრო საჭმლის მიღება ნაკლებად დაგვჭირდება და ჩვენს კუჭსაც ნაკლები ჯაფა დაადგება.

ჩვენ, რასაკვირველია, შეჩვეულნი ვართ ხორცს და ამ ჩვეულების შესაფერად შეუცვლია ჩვენი სხეული და ამიტომ ახირებული იქნებოდა ის რჩევა, რომ ყველამ, ვინც აქამდის ხორცს სჭამდა, შესცვალოს ეს წესი და დაიწყოს მხოლოდ მცენარეთი საზრდოობა. ამგვარი ცვლილება ძლიერ მავნე იქნებოდა ჩვენის ჯან-სალობისათვის, მაგრამ ნელ-ნელა მიჩვევა მცენარის საჭმელად ხმარებისა სრულიად შესაძლებელია. არამც თუ შესაძლებელია, მერმისში საჭიროც შეიქმნება, რომ მხოლოდ მცენარე ვიხმაროთ საჭმელად ხორცის ნაცვლად, იმიტომ რომ რამდენადაც ხალხის რაოდენობა მრავლდება, იმდენად ხორცის (ხვადაგის) რიცხვი ჰკლებულობს. აი, დღესაც მხოლოდ ამერიკაში, სადაც მრავალი თავისუფალი მიწაა და ხალხის რიცხვი-კი უფრო ნაკლებია, აშენებენ და ამრავლებენ შინაურ პირუტყვებს დასაკლავად; აქედგან ევროპაშიაც მიჰყავს ძლიერ ბევრს გასასყიდად, რადგან საჭმელი ხორცი უფრო ძვირია ევროპასა, ვიდრე ამერიკაში. რასაკვირველია, ადვილად წარმოსადგენია, რომ ხალხის რიცხვი ყველგან ისე გამრავლდება, რომ მხოლოდ მიწას შეეძლება საზრდოს მიცემა და ეს საზრდო იქნება სხვა-და-სხვა გვარი მცენარეულობა.

ექიმი ბადრიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენება 1897 წ. ღვინის მოსავალისა, ვენახების წამლობისა და Phoma reniformis-ის სნეულების შესახებ, 2) კ. ა. სატუნინისა—ბაღბოსტნეულობისათვის სასარგებლო ფრინველის ზამთრობით დაცვა-დაფარვის შესახებ და 3) ნ. ი. ლინდეს მოხსენება ვაშლის ხის ჭიით ავადმყოფობაზედ. კრების დროს გამართულ იქმნება მწვანილეულობისა, ხილეულობისა და მცენარეულობის ნაადრევ მოსავლის გამოფენა. მსურველთ ამა თუ იმ საგნების გამოსაფენად ადგილი მუქთად დაეთმობათ. გამოფენის საგნების დასათვალიერებლად ფული არავის არ გარდახდება. გამოსაფენი საგნები მიიღება შაბათს საღამოსა და კვირას, 1 თებერვალს, 12 საათამდის.

*** 4 თებერვალს სომეხთა კათოლიკოსი მკრტიჩ ბაქოში წავა, ხოლო იქიდგან ეჩმიაძინში.

*** სომხის გაზეთები იუწყებიან, რომ ბაქოს კაპიტალისტმა ბ-ნმა ზ. ა. ტაგიევმა მიჰმართა მთავრობას და სთხოვა, ნება მომეცით ამიერ-კავკასიის რკინის გზიდგან შტო გავიყვანო ჩემის ხარჯით ქ. შემახამდეო.

*** გაზ. „კავკაზს" დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, უკვე გამოქვეყნებულია, რომ ბ-ნი ევანგულოვი ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ დამტკიცებულ იქმნაო.

*** ტფილისიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „Моск. Вѣд."-ს: „ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის გამოკვლევით სიგრძე იმ შტოსი, რომელიც უნდა იქმნას გაყვანილი სად. ქიათურიდგან სოფ. დარკვეთამდის, გამოანგარიშებულია ექვსი ვერსი, ხოლო შტოს გაყვანა დაჯდება დაახლოვებით 200,000 მანეთი".

*** გაზ. „ნორ-დარი" იუწყება, რომ ტფილისის ახალგაზდობის ზოგიერთმა ნაწილმა თანაგრძნობის წერილი გაუგზავნა ემილ ზოლას, რომლის საქმეც ამ ჟამად ირჩევა პარიჟის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. ამ ამბავს „კავკასი" დასძენს, რომ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რა „ნაწილი ახალგაზდობისა" იქნებოდაო.

*** ქ. გორი. აქ ბევრია ავად სახადით. საბედნიეროდ, ყველა კარგადა ჰხდილობს ავადმყოფობას. ესევე სენი დიდადაა გავრცელებული გორის მაზრის სოფ. ბებნისსა, ურბნისსა და რუისში. ბევრი იმსხვერპლა ამ სენმა, მაგრამ მკურნალი-კი ჯერ-ჯერობით მაინც არსად არა სჩანს.

*** სოფ. კაქარი, (სიღნაღის მაზრა). 11 იანვარს ჩვენის პატარა კახისა და გმირის მეფის ერეკლეს სულის მოსახსენებლად მღვ. მ. იოსებ თუქუშვილმა გარდაიხადა წირვა და პანაშვიდი. წირვასა და პანაშვიდს დაესწრო ადგილობრივი მოხელეობა და მრავალი ხალხი. პანაშვიდის გარდახდის შემდეგ მღ. თუქუშვილმა დამსწრეთ მეფე ერეკლეს ღვაწლი განუმარტა. ხალხმა დიდის ყურადღებით მოისმინა მღვდლის ნაამბობი და ნასიამოვნები დაიშალა.

*** აზრადა აქვთ ძველი სახელმწიფო თეატრი დაანგრიონ და იმ ადგილზედ ააგონ ახალი შენობა, სადაც მოთავსებული იქმნება სამხედრო სამინისტროს მიერ შეძენილი რუბოს სურათი „ახულგოს ბრძოლა". იქავე ააგებენ ახალს შენობას „კავკასიის აფიცერთა მომხმარებელი საზოგადოებისათვის". ხოლო ბაღი კორპუსის მოსწავლეთათვის იქმნება დატოვებული სასეირნოდ.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია წავა სხვა-და-სხვა საქმის განსახილველად: ქ. გორში—23 თებერვალს და დაჰყოფს 15 მარტამდე; ქ. ახალქალაქში—13 მარ. 21 მარტამდე; ქ. ახალციხეში—23 მარტ. 28 მარტამდე; სიღნაღში—23 მარ. 26 მარტამდე; თელავში—14 მარტ. 20 მარტამდე და ზაქათალაში—28—29 მაისამდე.

*** ახალ ხელ-შეკრულობის ძალით, რომლითაც ტფილისის საფოსტო მმართველობა შეეკრა საქართველოს სამხედრო გზის მეიჯარადრეს იბრაგიმბეკოვისას, ტფილისისა და კავკავს შუა სამოგზაუროდ შემდეგი ფასები იქმნა დადგენილი: ორ-ადგილიან ეტლის 1 კლასის ბილეთი 18 მან. მაგიერ 14 მან; მე-2 კლასის ბილეთი 12 მან. მაგიერ—9 მან; მე-3 კლასის ადგილი გაუქმებულ იქმნა. ამას გარდა მუდამ დღე განსაკუთრებული ეტლები, ლინეიკები ივლიან. ეტლები ღამის გასათევად არსად გაჩერდებიან და ამ ეტლებით სამოგზაუროდ 6 მან. უნდა გარდაიხადოს მოგზაურმა. ეს ხელშეკრულება 1 მაისიდგან დაიწყებს მოქმედებას.

*** პარასკევს, 30 იანვარს, ამიერ კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ჩხუბი მოუვიდათ მუშებს. ჩხუბის დროს მიხეილ ნაჭყებიამ თადეოზ გოშაძეს ჯოხი დაჰკრა თავში. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი. მკურნალის შემოწმებით გოშაძე მძიმედაა თურმე დაშავებული.

---

## კიდევ საერო მუსიკის დაცვის შესახებ.

წინანდელს წერილში („ივერია" № 221 1897 წ.) ვცდილობდი შეძლებისამებრ ამეხსნა, თუ რამდენად არა სასურველი მოვლენაა ხალხურ სიმღერებში ტექსტების შეცვლა. ახლა მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო მეორე გარემოებას, რომელიც, ხსენებულთან შეერთებით, მეტად სამწუხარო მომავალს უქადის ჩვენ საერო მუსიკას. ამ უკანასკნელ ხანს ჩვენში დაიწყო გავრცელება ცოტა არ იყოს უხეირო მუსიკამ, რომელსაც არას გზით არ შეუძლიან განუვითაროს კაცს მუსიკალურ, ესტეტიკური გემოვნება. არას ვამბობ ვერდის შესახებ, რომელსაც ერთს დროს დიდი გავლენა ჰქონდა ევროპის საზოგადოებაზედ თავისის ზოგიერთის ძველის ოპერით და რომელმაც ჩვენში ეხლა მოიპოვა დიდი თანაგრძნობა, რაიცა იქიდგან სჩანს, რომ რამდენიმე მისი მელოდია ქართულ სიტყვებით ყველას ენაზედ აკერია. მავნებელია ეს მოვლენა, თუ არა, იგი მაინც აუცილებელი იყო. უმთავრესი უბედურება ის არის, რომ ვერდის გარდა ჩვენში ძალიან გავრცელებულია უმსგავსი და სალახანური მუსიკა, განსაკუთრებით ქ-ნ გიტარისტების და მუსიკალურ გემოვნებას მოკლებულ ყმაწვილ კაცების წყალობით. ასეთ სიმღერებად ჩასათვლელია სხვათა შორის, ჰანგი შემდეგის სიმღერებისა: „მახსოვს პირველად"—არღნის ხმაა, რომლის რუსული შინაარსი ასეთია: „Скажите ради бога, зачѣмъ я васъ люблю, скажите ради бога, зачѣмъ я жизнь гублю". ან როგორ მოგეწონებათ ყარაჩთა სიმღერა „Поцѣлуй меня", ქართულად გადმოღებული ამგვარად:

„მაკოცეთ ერთი,
იწამეთ ღმერთი,
მხად ვარ ხელად
საკოცნელად."

ან კიდევ:—„გული მიწუხს" ყარაჩთა სიმღერის ხმაზედ: „Я васъ люблю, вы мнѣ повѣрьте, вамъ цыганка говоритъ". როგორც ეტყობა, ყარაჩთა სიმღერებს ყველაზედ მეტი სახელი მოუხვეჭია. ამათ გარდა: „Она моя" ქართულად: „ის ჩემია, ის ჩემია, მთელ ქვეყანას მირჩევნია", „კურტან ვაჲ კურტან", აკაკის ლექსი; „საიდუმლო ბარათო", „Бѣдный прапорщикъ армейскiй"-ს ხმაზედ; მრავალჟამიერის ათასი უმსგავსი კილო და მრავალი სხვა. ყველა ამას ღირსეულად აგვირგვინებს მეცხრამეტე საუკუნის შესანიშნავი ნაწარმოები, კაფე-შანტანსა და სამხიარულო ბაღებში მეტად გავრცელებული „ტარარა ბუმბია". ამ სიმღერას ხშირად სოფლად ქალებიც-კი ჰმღერიან.

რასაკვირველია, კაცი, რაცა ჰსურს და მოსწონს, იმას ჰმღერის, მაგრამ საქმე ის არის, რომ აქ დასახელებულ სიმღერების გავრცელებას თან მოსდევს მეტად მავნებელი შედეგი: ამისთანა ჰანგების მოტრფიალე ესტეტიკურს გრძნობას, განვითარების მაგივრად სრულიად იხშობს. რად უნდა მოხდეს ეს ასე, როდესაც მრავლად მოიპოვება მშვენიერნი სამუსიკო ნაწარმოები! თუ ესენი ვისმესთვის ხელ-მიუწდომელია, რად ივიწყებენ შესანიშნავს საერო ჰანგს, რომელშიაც მუსიკასაც ჰპოვებენ, პოეზიასაც, აზრსაც, ერთის სიტყვით ყოველსავე იმას, რაც ამაღლებს და აფაქიზებს ადამიანის სულსა და გულს; რომელი აქ დასახელებულ სიმღერათაგანი შეედრება ქართულს სიმღერას, რომელიც უნდა იყოს? მაგრამ ამ სიმღერების მთქმელს მარტო თავისთვის კი არ მოაქვს ვნება, არამედ იგი ხელს უწყობს, ნებსით თუ უნებურად, მთელის საერო მუსიკის გადაგვარებასა და გაქარწყლებას. იგი რომ მღერის რაიმე უვარგისს სიმღერას, მეორეც იმასა ჰბაძავს, მესამეც გაიგონებს და ისიცა სწავლობს, მხოლოდ თავისებურად-კი; მერე ამ უცხო ჰანგს ან მის ნაწილს მიაკერებს თავისს სიმღერას და მაშინ კი მშვიდობით, საერო ჰანგო, ამ ჰანგს ხასიათიც ეკარგება და თავისებურობაც.

ცნობილია, რომ სიმღერა არის ცხოვრების სხვა-და-სხვა მოვლენის შედეგი და ამა თუ იმ ხანის დამახასიათებელი. თუნდ ამიტომაც ვალდებულნი ვართ, რომ წინა აღვუდგეთ ქართულ მუსიკის გადაგვარებას და თავისებურობა იმ დრომდე მაინც შევარჩინოთ, სანამ ჩაიწერებოდეს, და ამისთვის-კი საჭიროა, რომ ჩვენს საზოგადოებაში სხვა-და-სხვა ინტერნაციონალურ უმსგავსმა სიმღერებმა ხლაგი დაუთმოს ხალხურ სიმღერებს და ეს სიმღერები კილო-ჰანგის მხრივ იგალობებოდეს ისე, როგორცა ჰმღერის თვით ხალხი. შემთხვევა მომეცა და ბ-ნ მაჭავარიანის სიმღერების კრებული გადავათვალიერე, ეს კრებული გამოცემულია 1878 წელს. კრებულში, სხვათა შორის, მოთავსებულია ერთი მალორუსიული სიმღერა (№ 11), რომელშიაც შეცვლილია მხოლოდ ორიოდე ნოტა. ეს მაგალითი ასურათებს იმას, რაც ზემოდ მოვიხსენიე, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ამ შემთხვევაში მალორუსიული და არა რაიმე არღნული სიმღერა გადიქცა ქართულ სიმღერად. მაგრამ თუ ეს მოხდა, ყველაფერი მოსალოდნელია. რა არის ამისი მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ ძალიან ნაკლებს ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს მუსიკას, ჩვენს სიმდიდრეს. იმდენად გატაცებულნი ვართ უცხო, ყარაჩთა საგალობლებით და ისე გულ-მოდგინეთ ვავრცელებთ, რომ ცოტა ხნის შემდეგ ეს სიმღერები მთელის ხალხის საკუთრებად ხდება, ჰანგების ჩამწერლები-კი, იმიტომ რომ უყურადღებოდ ეპყრობიან თავიანთ საქმეს, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, სამუდამოდ ამკვიდრებენ ამ ჰანგს კრებულში. უეჭველია, ბ-ნს მაჭავარიანს ეს სიმღერა ქართული ჰგონებია.

მინდოდა მომეხსენებინა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, როგორ უნდა მოეწყოს სოფელში მოგზაურობა, რომ სიმღერები ფონოგრაფით იწერებოდეს, სანამ მუსიკა ჯერ კიდევ დაუმახინჯებელია, მაგრამ ფონოგრაფის შესაძენად ფულია საჭირო და ამიტომ გავჩუმდები. როცა ღმერთი მომცემს და მე თვით შევიძენ (ეს-კი ვინ იცის, როდის იქმნება) ფონოგრაფს, დარწმუნებული ვარ, არა ერთხელ შევხვდები ქართულ სიმღერას იტალიანურად ან ყარაჩულად კილო-მოქცეულს, ან ქართულის სახელით „ტარარა ბუმბიასა" და „მარგარიტას".

ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ხალხურ სიმღერისაგან შესაძლოა მშვენიერ საერო ხელოვნურ მუსიკის შექმნა, საჭირო არც-კი არის, რადგან ამის მაგალითი არა ერთია და ორი. თუნდა რუსები ავიღოთ მაგალითად. პირველმა კომპოზიტორმა, რომელმაც შეჰქმნა რუსული ხელოვნური მუსიკა, გლინკამ, თავისს ოპერებში: „Жизнь за царя" და „Русланъ и Людмила" შეამუშავა მხოლოდ თავისის ერის სიმღერები და ამითი მტკიცე საფუძველი დაუდო რუსულ ხელოვნურ მუსიკას. შემდეგი კომპოზიტორები მხოლოდ ანვითარებდნენ ამ კილოებს და ეხლა რუსულს საერო მუსიკას ევროპაში საპატიო ალაგი უჭირავს.

იმედია, რომ ყველა, ვინც-კი თანაუგრძნობს ჩემის წერილის აზრს, ეცდება წინა-აღუდგეს ამ წერილში აღნიშნულს მავნე მოვლენას. ამითი ჩვენ დავიცავთ ჩვენს სიმღერას, „ტარარა ბუმბიისა" და სხვათა გავლენისაგან და ეროვნულს ხასიათს შევარჩენთ.

დიმიტრი არაყიშვილი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ქალაქის მოურავად უკვე დამტკიცებულ იქმნა ბ-ნი გ. ევანგულოვი. ამ ამბის გამო გაზეთი „კავკასი" სწერს ბ-ნის ევანგულოვის წარსულის შესახებ და იმის მოქმედებაზე ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში. ამ მოქმედების შესახებ „კავკასში" სწერდა ბ-ნი Saldo, რომლის წერილი ჩვენც გადმოვბეჭდეთ. სხვათა შორის მოხსენებული იყო, რომ ქალაქის თვით მმართველობის ფული ინახებოდა საკრედიტო საზოგადოებაში და ეს ამბავი ხომ კარგად იცოდა ბ-მა ევანგულოვმა, რადგანაც ერთსა და იმავე დროს ქალაქის ხმოსნადაც იყო და ამ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედაც. ამ თანამდებობას დღესაც ასრულებს ბ-ნი ევანგულოვი და საჭიროა, ხმოსნებმა ეხლავე განაცხადონ, რომ ბ-ნს ევანგულოვს ორი თანამდებობა არა ჰქონდეს ერთსა და იმავე დროს.

მაგრამ, თუ ხმოსნები ხმას არ ამოიღებენ ამაზედ, სწერს დასასრულ „კავკასი", და დასდუმდებიან, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამას მიაქცევენ ყურადღებას ან შინაგან საქმეთა სამინისტრო, ან ფინანსთა სამინისტრო, ისე, როგორც ყურადღება მიაქცია ამავე გარემოებას იუსტიციის სამინისტრომ და მოითხოვა, რომ ევანგულოვს უარი ეთქვა ან ვექილობაზედ ან ქალაქის მოურავობაზე.

---

## უცხოეთი

—

**კრიტი.** პეტერბურგიდგან სწერენ „Berliner Tageblatt"-ს: „რუსეთის ელჩმა კონსტანტინეპოლში ბ-ნმა ზინოვიევმა მიწერილობა მიიღო, უეჭველი ღონე იღონე, რომ სულთანი დაიყოლიო და კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ საბერძნეთის ბატონიშვილი გიორგი დაამტკიცებინოო. ამ მიწერილობის ძალით ბ-ნმა ზინოვიევმა სულთნის უმთავრესი ყურადღება იმ გარემოებას უნდა მიაქციოს, რომ კრიტის მაჰმადიანთ მუდამ შიში მოელით იქაურ ქრისტიანეთაგან. ქრისტიანენი ისე არიან აღელვებულნი და უკმაყოფილონი ოსმალეთის მთავრობისა, რომ შესაძლებელია ყურადღება აღარ მიაქციონ ადმირალების დარიგებას და ერთს მშვენიერ დღეს სრულიად ამოჟლიტონ კუნძულის მაჰმადიანნიო. ქრისტიანების დამშვიდება და დაწყნარება და საერთოდ კუნძულზედ მშვიდობიანობის დამყარება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ კრიტის გენერალ-გუბერნატორად ბატონიშვილი გიორგი იქმნება დანიშნულიო. იმ დროს, როდესაც რუსეთის მთავრობამ ასეთი მიწერილობა გაუგზავნა თავის ელჩს ზინოვიევს, ავსტრია-უნგრეთის ელჩმა სულ სხვა რჩევა მისცა ოსმალეთის სულთანს აბდულ-ჰამიდს. აი რა უთხრა ელჩმა, როდესაც სულთანმა შესჩივლა, რომ კრიტის წართმევას მიპირებენო: „თქვენო უმაღლესობავ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ! ვიდრე თქვენი ჯარი თესალიაშია დაბანაკებული, კუნძულის წართმევას ვერავინ გაგიბედავთ. ხოლო თუ მაინცა და მაინც მოიწადინეს ეს, მაშინ თქვენ შეგიძლიან თესალია შემოიერთოთ; წინააღმდეგობას არც ერთი სახელმწიფო არ გაგიწევთო". რამდენად მართალია ყველა ეს ამბავი, ამბობს ბოლოს გაზეთი, ჩვენ ვერას ვიტყვით, ეს-კი აშკარაა, რომ რა-კი რუსეთმა ერთხელ ყურადღება მიაქცია ამ კუნძულს, რაც უნდა მოხდეს, თავს აღარ გაანებებს, ვიდრე თავისს განზრახვას სისრულეში არ მოიყვანსო".

— იმავე გაზეთს მეტად უცნაურ ამბავს სწერენ კონსტანტინეპოლიდგან: იმ შემთხვევაში, თუ არ მოხერხდა და კრიტის გენერალ-გუბერნატორად საბერძნეთის ბატონიშვილი არ იქმნა დანიშნულიო, რუსეთს აზრადა აქვს სხვანაირად მოაწყოს საქმე. სახელდობრ, რუსეთის ელჩი ზინოვიევი ოსმალეთის ქვეშევრდომობას მიიღებს და კრიტის გუბერნატორად ის იქმნება გამწესებულიო. ეს რომ მოხერხდეს, რუსეთს, რასაკვირველია, ძალიან გაუხარდება,

მაგრამ არც ოსმალეთს ეწყინება, რადგანაც ზინოვიევმა ისე შეაწუხა აბდულჰამიდი, რომ მზად არის გენერალ-გუბერნატორობა მისცეს, ოღონდ თავიდგან მოიშოროსო“.

—

**იაპონია.** ნაგასაკიდგან სწერენ „Daily Mail“-ს, რომ საქმე ძალიან გამწვავდაო. უეჭველად აშკარად ჰმოწმობს, რომ იაპონია გულ-მოდგინედ ემზადება ომისთვისაო.

## სასამართლოს მატიანე

### ცრუ მოწმობა

26 იანვარს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება შეუდგა განხილვას მეტად საყურადღებო საქმისას, რომლითაც ქუთაისის პოლიციის მოხელეს ვიქტორ ახვლედიანს ცრუ მოწმობა ჰბრალდება.

ამ საქმის განხილვის დროს თავმჯდომარეობდა ა. კ. ფონ-რეზენი; წევრებად იყვნენ ვ. ფ. გეინი და ა. ს. ხაბურზანია, ბრალმდებელად ს. პ. სტრადომსკი; დამნაშავეს იცავდა ნაფიცი ვექილი თავ. მ. გ. ფაღავა.

აი, ვითარება ამ საქმისა: 1893 წლის დეკემბერს ქ. ტფილისის პირველი ნაწილის ბოქაული კონსტანტინე სვიმონოვი ქუთაისის პოლიცმეისტრად იქმნა დანიშნული. როდესაც სვიმონოვი ქუთაისში მიდიოდა, რკინის გზის „ტფილისის“ სადგურზედ ობერ-კონდუქტორმა იოსებ ასათიანმა გადასცა მას ყალბი სამ-მანეთიანი და უთხრა, რომ ეს ფული ბათუმის ნაწილის ერთ-ერთს სადგურის რკინის გზის დარაჯმა მომცაო. ქუთაისში მისვლისათანავე, სვიმონოვმა პოლიციის მოხელე ვიქტორ ახვლედიანი დაიბარა, უამბო ყალბის ფულის სამმანეთიანის ამბავი და უთხრა, რომ ყალბის ფულის მჭრელები აქ, ქუთაისში იქმნებიანო. ამასთან სვიმონოვმა დაავალა ახვლედიანს შესდგომოდა ამ საქმეს და ეპოვნა ყალბის ფულის მჭრელნი. ახვლედიანმა მალე აცნობა პოლიცმეისტერს, რომ ყალბ ფულს ქუთაისის მცხოვრებლების ასლან ჯოხაძის და მიხეილ ყიფიანის სადგომში ასაღებენო. ამას გარდა, ასლან ჯოხაძე იმიერ კასპიის მხრიდგან დაბრუნების შემდეგ არა ერთხელ შეუმჩნევიათ, რომ ყალბ ფულს ასაღებდაო, რის გამოც ეხლა რამდენიმე საქმე სწარმოებსო. შემდეგ ვიქტორ ახვლედიანმა ახლო გაიცნო ასლან ჯოხაძის ცოლი დაფინე. დეკემბრის შუა რიცხვებში ახვლედიანმა შეატყობინა სვიმონოვს, რომ დაფინესთან შევედი, როდესაც ჯოხაძე და ყიფიანი შინ არ იყვნენ, და სტოლზედ ვნახე დაფინეს ქმრის ქისა, რომელიც ყალბი სამ-მანეთიანებით იყო გატენილიო. ამასთან, ახვლედიანს თუმცა დაფინე ბევრი ემუდარა და ეხვეწა, მაგ ფულს ნუ წაიღებ, თორემ ქმარი მომკლავსო, ფული წამოუღია და სვიმონოვისათვის გარდაუცია. შემდეგ ახვლედიანი ისე დაუახლოვდა თურმე დაფინეს, რომ ამას გადაუცია 22 სხვა ყალბი სამმანეთიანი და გამოსტეხია კიდეც, რომ ეს ფული ჩემი ქმრისა არისო; ჩემი ქმარი ბევრსა ჰშოულობს მაგისთანა ფულს და თითო ქაღალდს 1 მ. ან 1 მ. 20 კ. ჰყიდისო. ამ საქმეში ამხანაგობას ვლადიმერ ავალიანი უწევსო. ამასთან დაფინეს ისიც დაუმატებია, რომ წინად ყალბ ფულს ქუთაისში სჭრიდნენ და იმის გავრცელების საქმეში მონაწილეობას იღებდნენ სერგი ვაშაკიძე, ივანე გამსახურდია და დიმიტრი ბახტაძეო. სვიმონოვმა დაავალა ახვლედიანს, რომ წერილობითი საბუთის ქაღალდი რამე ჩაიგდე ხელთაო და მართლაც, ახვლედიანმა დაარწმუნა დოფინე, რომ ჩემ ძმას ნესტორ ახვლედიანს უნდა იყიდოს ყალბი ფულიო, და ჩამოართვა რამდენიმე ისეთი ბარათი, რომლიდგანაც აშკარადა სჩანდა, რომ ჯოხაძეს ყალბი ფული ჰქონდა. ამ ბარათების შემდეგ სვიმონოვმა დაავალა თურმე ახვლედიანს, როგორმე თვით დაფინე გამოსტეხეო. არ გასულა ბევრი ხანი, დაფინეს გამოუცხადებია ახვლედიანისათვის, რომ ყალბის ფულის მჭრელი ბათუმში წავიდაო, მაგრამ სერგეი ვაშაკიძის შემწეობით რამდენსაც მინდა, იმდენს ვიშოვნი ფულს და შენ გადმოგცემო, თუ არავის გააგებინებ, ხოლო თუ ვინიცობაა, გამოაშკარავდა საქმე, ყოველისფერს შენ იკისრებ და ჩემს მაგიერ პასუხს აგებო. დაფინემ ამისი ხელწერილიც-კი მოსთხოვა ახვლედიანს. ბოლოს სვიმონოვმა, რომ უფრო გამოეაშკარავებინა საქმე, მისცა ახვლედიანს დაფინე ჯოხაძის გარდასაცემად ოც-და-ათი ცალი თითო მანეთიანი ვითომდა დაფინესაგან 22 ცალის სამ-მანეთიანის ყალბის ფულის შესაძენად.

(დასასრული იქნება)

## დამაფიქრებელი

ის-კი არ არის ჭეშმარიტი, რასაც ჰფიქრობ, არამედ ის, რასაც ჰგრძნობ; ჭკუით მხოლოდ გამოანათებს თუ გაანათლებ.

რუკკერტი

* * *

ყური ყველას მიაწვდინე, სიტყვა—იშვიათს, რჩევა სიამოვნებით მოისმინე, დარიგებას-კი იაფად ნუ გასცემ.

შექსპირი

* * *

სახამსო ესე არის, რომელ წყნარი იყო და ყოვლისა საქმისა მეცნიერი.

ვისრამიანი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

### (ამოკრებილი ამბები)

ამერიკელი სახელოვანი მწერალი მარკ ტვენი ძლიერ ხუმარა და ოხუნჯი კაცია. იმისი საოხუჯო მოთხრობები ჩვენს გაზეთშიაც ყოფილა დაბეჭდილი. უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში შემდეგი ამბავი სწერია, რომელიც ამტკიცებს მარკ ტვენის მოსწრებულ სიტყვა-პასუხს. ეხლახან ხმა გავრცელდა, რომ მარკ ტვენი გარდაიცვალაო. ამერიკიდგან დაეკითხნენ—მართალია, თუ არა ეს ამბავიო. მარკ ტვენმა დეპეშა გაუგზავნა შემდეგის შინაარსისა: „ამბავი ჩემის გარდაცვალებისა მეტად გაზვიადებულია“.

* * *

ელექტრო-ტეხნიკოსმა სიმენსმა გაიშენა „ელექტრონის სახლი“. ამ სახლში ყველაფერი ელექტრონის ძალით კეთდება. ღამე ელექტრონის სინათლე ანათებს, სახლს ელექტრონის ძალა ათბობს. სამზარეულოში საჭმელი ელექტრონის ძალით იხარშება. სარეცხი ელექტრონის ძალით ირეცხება, იჯანდრება, უთოვდება. სარდაფსა, სამზარეულოსა და სასადილო ოთახს შორის დადის პატარა რკინის გზა პაწია ვაგონებით და დააქვს ბოთლები, ჭურჭელი და საჭმელი. მოსამსახურე ამ სახლში სრულებით არ არის, ყველაფერი ელექტრონის ძალით კეთდება.

## დეპეშა

### (რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 იანვარი

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 172,785,200 მან. თანხის $4^1/_2\%$ გირავნობის ფურცლების კონვერსიის შესახებ და იმავე ბანკის $3^1/_2\%$ გირავნობის ფურცლების მეორედ გამოცემის შესახებ.

**ლონდონი.** გამოქვეყნებულ იქმნა ინგლისსა და აბაშეთის შორის დადებული ხელ-შეკრულება, რომლის ძალითაც ამ ორ სახელმწიფოთა შორის თავისუფალი ვაჭრობა უნდა გაიმართოს.

**პარიჟი.** პელიემ სთქვა: „მათე დრეიფუსმა, როდესაც ის ჩემთან მოვიდა, ვერც ერთი დამამტკიცებელი საბუთი ვერ წარმოადგინა იმ ბრალდების შესახებ, რომელსაც ის ესტერგაზსა სდებდა. ვერ წარმოადგინა საბუთი ვერც შერერ-კესტნერმა, რომელმაც განაცხადა, რომ მე არავითარი პირადი „dossier“-ი არა მაქვს ესტერგაზისთანაო და მოითხოვა გულწრფელი გამოძიება იქმნას მომხდარიო. პოლკოვნიკ პიკარის დასაბარებლად გაჰგზავნეს და შემდეგ ჩემს კაბინეტში შემოვიდა ლებლუა, რომელმაც ფაქსიმილე მიჩვენა და განაცხადა, რომ „dossier“-ი, რომელიც ესტერგაზის მოღალატეობას ამტკიცებს, სამხედრო სამინისტროშია შენახულიო. ლებლუამ დაუმატა, რომ პიკარს ვიცნობ, ბავშვობაშიაც ვიცნობდით ერთი ერთმანეთს და მეგობრები ვიყავითო. ისეთი საქმე არ არის, რომ ჯაშუშობის საქმეზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს და პიკარმა-კი უცხო კაცს შეატყობინა ამ საქმის ვითარება. ეს არ ეკადრებოდა! (ხანგრძლივი ტაშის ცემაა). შემდეგ პელიემ განიხილა მის მიერ მეორედ გამოძიებული საქმე. პელიეს მოსვლამდის სასამართლოში გამოცხადდნენ მაიორი დიუორმეშვილი, პოლკოვნიკი მორელი და რამდენიმე აფიცერი, რომლებიც იმ სამხედრო სასამართლოში იღებდნენ მონაწილეობას, რომელმაც დრეიფუსი განასამართლა. როდესაც იმათ სასამართლოს მახლობლად გაიარეს, ლაბორის უნდოდა ეკითხნა რამე ამ საქმის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარემ დაუშალა და მოწმეთ ისე გაიარეს, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ. მაიორმა რავორიმ განაცხადა, რომ სამხედრო-სასამართლო გამოძიების საქმეს კეთილ-სინდისიერად აწარმოებსო. მაიორმა სენ-მორელმა უჩვენა, რომ მე როშფორთან იმისავე თხოვნით წავედიო და ამასთანავე დაუმატა, რომ საგენერალო შტაბი ფორმალურად დარწმუნებულია დრეიფუსის დანაშაულსაო. შემდეგ მოისმინეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნამყოფის დიუპუის ჩვენება. ლაბორის უნ. და ჰკითხოს რამე დრეიფუსის საქმის შესახებ, მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარე არა სთანხმდება. მაშინ ლაბორიმ უარი განაცხადა, რომ დიუპუის ჩვენებას ყურს არ დავუგდებო. მინისტრად ნამყოფმა ტევენემ სთქვა, რომ მე დარწმუნებული ვარ, ზოლა გულწრფელად ჰმოქმედებს, რადგან საქმე ნათლად არ არის გამორკვეული, მეტადრე რიდე ჩამოფარებულ ქალისა, რომელსაც, როგორც სჩანს, საიდუმლო საბუთის ქაღალდები ჰქონია. ვწუხვარ იმის გამო, მთავრობამ წინათვე რატომ არ გამოსთქვა თავისი აზრი, რომ მშვიდობიანობა დამყარებულიყოო (ჰყვირიან: „დიახ“! ხმაურობა ასტყდება; სხვა-და სხვა გვარ მანიფესტაციებს ახდენენ). ჩვენების ჩამოსართმევად მოწვეულ იქმნა მოწმე სალლი, ვექილი. სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ნებას არ მივცემ დრეიფუსის საქმის შესახებ ილაპარაკოსო. ლაბორი და თავმჯდომარე შეჰლაპარაკდნენ. ლაბორი თხოულობს, ნება მომეცით ჩემი აზრი გამოვთქვა ამ საგნის შესახებაო. კრება ცოტა ხნით შეჩერებულ იქმნა. კრების დაწყებისათანავე ლაბორმა განაცხადა თავისი აზრი თავმჯდომარის საქციელის შესახებ, რომელმაც ნება არ მისცა სალლის ჩვენება მოესმინა. ალბერტ კლემანსომ სთქვა, ოქმში აღნიშნეთ, რომ სალლს წინააღმდეგობა არ განუცხადებია და არ უარ-უყვია ის ამბავი, რომ სამხედრო სასამართლოს ერთის წევრისაგან შეიტყო მან: სამხედრო სასამართლოს გარდაეცა საიდუმლო საბუთის ქაღალდიო. სასამართლომ უარ-ჰყო ეს აზრნი, როგორც უსაბუთონი. კრება დაიშალა ისე, რომ არაფერი განსაკუთრებული ამბავი არ მომხდარა.

31 იანვარი

**ბომბეი.** შავი ჭირი შესამჩნევად გაძლიერდა პენჯაფში. უკვე რვა სოფელია ამ სენით მოდებული.

**პარიჟი.** პალატის გარეშემო ბევრი ხალხია შეკრებილი. დარბაზშიაც აუარებელი ხალხია. კრება დაიწყო 12 ს. და 20 წ. თავმჯდომარემ მიიხმო პელიე, რომელმაც ასე დაიწყო: „იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ სამხედრო სასამართლო დამოუკიდებლად მოქცა, არის ის, რომ მან საქმე გარეშე კაცთა დაუსწრებლად გაარჩია. ასეთ პირობებში განა შეიძლება კაცმა სთქვას, რომ სამხედრო სასამართლომ, რომელმაც ესტერგაზი გაამართლა, დანაშაულობა ჩაიდინა? შემიძლიან ვსთქვა, რომ როდესაც აფიცრები სისხლსა ღვრიდნენ ომის ველზედ, სხვები ღმერთმან უწყის სად იყვნენ“!.. (ხანგრძლივი ხმაურობა) გენერალმა დაუმატა: „აფიცრებს რომ მოუსმინონ, ისინი სიზლით უარს ჰყოფდნენ იმ ბრალდებას, რომელსაც მათ კისერზედ ახვევენ“. დასასრულ პელიემ სთქვა: „გუშინ ლაპარაკი იყო dossier-ის შესახებ. საქმე დრეიფუსის dossier-ს არ შეეხება. ეს უკანასკნელი დაბეჭდეს 1894 წლის საქმის განხილვის შემდეგ და მხოლოდ უკანასკნელ დროს მე გავხსენი, რომ ბორდეროს ახალი ექსპერტიზა მოგვეხდინა. ამის შემდეგ dossier ხელ ახლა დაიბეჭდა და სამხედრო სამინისტროს გარდაეცა. შემდეგ გენერალმა უარ ჰყო ნათქვამი ლებლუასი, რომელმაც განაცხადა, რომ პოლკოვ, ანრისთან ორი საათი მოლაპარაკება მქონდაო. ზოლამ სთქვა, რომ სამშობლოსათვის სამსახური სხვა და სხვა ნაირად შეიძლებაო (ხმაურობა). შეიძლება სამსახური მახვილითა და კალმით. „თუ თქვენ,— დაუმატა ზოლამ,—იმარჯვებდით, მეც ვიმარჯვებდი. მე დაუტოვებ შთამომავლობას პელიესა და ზოლას სახელებსა და დეე იმანაირჩიოს რომელიც უნდა“! (ხმაურობა და აღელვებაა). პელიემ სთქვა: „მე აზრად არ მაქვს გიპასუხოთ“. პელიემ დაუმატა, რომ ბიკარმა წერილები ესტერგაზის მიაწერა, მაგრამ ის შემცდარი იყოო. შემდეგ პელიემ განაცხადა, რომ ესტერგაზი მიცემულ-იქმნა სამართალში, თუმცა იმის სიმართლე გამოაშკარავა გამოძიებამო.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

აგერ ეს მეოთხე წელიწადია, რაც გაზეთს „ივერიას“ სკრის სადგურზედ ვიწერ. სამის წლის განმავლობაში გაზეთი რიგიანად და უნაკლულოდ მომდიოდა, მაგრამ ამ უკანასკნელის ერთის წლის განმავლობაში სადგურის მოხელენი ჰხსნიან ჩემს გაზეთს, კითხულობენ, კითხვასაც არ აჯერებენ, ჰხევენ და ხშირად ნომრებსაც მიკარგავენ. იმათი კადნიერება იქამდის მივიდა, რომ გაზეთ „მწყემსის“ წარსულის 1897 წლის ერთი ნომერისა მხოლოდ ნახევარი თაბახი გამომიგზავნეს (ე. ი. მე გამოვატანინე ჩემს კაცს, რადგანაც ისინი არ არიან გამოგზავნის მოვალენი). ამის გამო მივმართე ერთს მოხელეთაგანს პირადად და ვთხოვე (რადგანაც იმაზედ ეჭვი მქონდა) თავი დაენებებინა ამ საქციელისათვის, მაგრამ ჩემს თხოვნას, არ ვიცი-კი რა საბუთით, ყურადღება არ მიაქცია. მივმართე სადგურის უფროსს წერილით, ორჯელ თუ სამჯერ ვთხოვე აეკრძალა თავისს ხელ-ქვეითათვის ასეთი კადნიერება და, სამწუხაროდ, არც ამან გასჭრა.

ეხლა იძულებული ვარ თქვენის გაზეთის შემწეობით მივმართო ამ ვაჟ-ბატონთ; ვინ მისცათ მათ ისეთი უფლება, რომ სხვის სახელზედ მოსული ჟურნალ-გაზეთი გახსნან და ამასთანავე კიდევაც ჰხიონ და ჰკარგონ? რატომ პატრონის კანონიერი თხოვნა არ უნდა აღასრულონ? განა სასიამოვნო იქმნება, რომ ამის გამო ჩივილი იქმნას აღძრული?! „ვისაც თევზი უნდა, იმან ფეხიც უნდა დაისველოს“. ვისაც გაზეთის კითხვის მადა აქვს, იმას ან საკუთრივ უნდა ჰქონდეს გამოწერილი, ან ქველ-მომქმედთ მიჰმართოს შემწეობისათვის და რადგანაც აქაურ მოხელეებს, ვგონებ, საგლახაო არა უნდა სჭირდეთ რა, ამისათვის სირცხვილიც არის საკუთრივ გაზეთი არა ჰქონდეთ გამოწერილი. სხვის გაზეთის გახსნა-კითხვა-დახევას არც კანონი მოუწონებს და არც პატრონი ეტყვის მადლობას. ყოველგვარ უსიამოვნების ასაცილებლად ერთხელ კიდევ ვთხოვ თავი დაანებონ სხვის საკუთრების ასე უდიერად მოპყრობას.

სოფელ ურბნისის მღვდელი სეით გამრეკელი

—

ამ საგნის შესახებვე აი რასა გვწერს მეორე ხელის მომწერელი:

საკვირველია, პირველისავე გამოწერაზედ „ივერიის“ ნომრები დაიკარგა ს. გომში; ყოველივე ხალისი ᲓᲐ სურვილი გვეკარგება გაზეთების გამოწერისა, ეს არის მიზეზი, რომ ბევრნი ჩვენგანნი ერიდებიან გაზეთების გამოწერას, რადგან წინდაწინვე იციან, რომ სრულად არ მიიღებენ გაზეთების ნომრებსა.

თავ. დ. ფალავანდიშვილი

ვბეჭდავთ მხოლოდ ამ ორს წერილს, თუმცა ყოველ დღე მოგვდის ასეთი წერილები რკინის გზის ამა თუ იმ სადგურთან ახლო მცხოვრებ ხელის მომწერთაგან. ნუ თუ რკინის გზის მთავრობა ვერ აღუკრძალავს თავისს მოხელეებს ასეთს უკანონო საქციელს!?.

Дозволено цензурою, Тифлисъ 31-го Января 1868 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.